

მომხსენებლის გზამკვლევი

2018

მომხსენებლის გზამკვლევი

ნათია ზედგინძე, დენის სალუქვაძე

1/29/2018

შინაარსი

1. სამუშაო ჯგუფში, საკომიტეტო მოკვლევის საქმისწარმოება	2
2. დადასტურებული პოზიციების განხილვა და მომხსენებლის/ების მოწვევა	2
საკომიტეტო მოკვლევაში დადასტურებული პოზიციების განხილვა იყოფა შემდეგ ეტაპებად:	2
○ მოწვევა დადასტურებული პოზიციის წერილობითი ფორმით სამუშაო ჯგუფში წარდგენაზე	2
○ ზეპირსიტყვიერი ფორმით დადასტურებული პოზიციის მოსმენა	3
3. წერილობითი ფორმით წარმოდგენილი დადასტურებული პოზიციის ფორმალური მოთხოვნები	3
4. წერილობითი ფორმით დადასტურებული პოზიციის წარდგენის შემდგომი ეტაპები	4
5. დადასტურებული პოზიციის წარდგენა ზეპირსიტყვიერად	4
5.1 სამუშაო ჯგუფი ატყობინებს მედია საშუალებებს ზეპირი მოსმენის თაობაზე:...	4
5.2 კომიტეტის აპარატი ზეპირ მოსმენამდე მომხსენებელს აწვდის ინფორმაციას მოსმენის ჩატარების ადგილის და დროის თაობაზე.....	4
6. სამუშაო ჯგუფის მიერ ზეპირსიტყვიერი ფორმით დადასტურებული პოზიციის მოსმენა.....	4
7. სამუშაო ჯგუფის მიერ, ზეპირსიტყვიერი ფორმით, დადასტურებული პოზიციის მოსმენის ოქმები.....	5
8. სამუშაო ჯგუფის შემაჯამებელი ანგარიში კომიტეტს.....	5

მომხსენებლის გზამკვლევი

1. სამუშაო ჯგუფში, საკომიტეტო მოკვლევის საქმისწარმოება

სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე ირჩევს საკომიტეტო მოკვლევის თემას, რომლის თაობაზეც შემდგომში მოხდება დადასტურებული პოზიციის მიღება სხვადასხვა სუბიექტებისაგან (ფიზიკური ან/და იურიდიული სუბიექტები).

წარმოდგენილი პოზიციები უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ პირობებს (TOR).

სამუშაო ჯგუფი ინდივიდუალურად განსაზღვრავს საკომიტეტო მოკვლევის თემას და ადგენს ტექნიკურს პირობებს (TOR) მოკვლევის თემის შინაარსიდან გამომდინარე.

სამუშაო ჯგუფის ტექნიკური პირობები (TOR) განსხვავდება შინაარსობრივი მოცულობითა და ვადებით, მოსაკვლევი თემიდან.

საკომიტეტო მოკვლევისას დადასტურებული პოზიციის მიღება შესაძლოა გაგრძელდეს რამდენიმე თვის განმავლობაში, სამუშაო ჯგუფის შეხედულების შესაბამისად, წინასწარ დადგენილ ვადებში.

2. დადასტურებული პოზიციების განხილვა და მომხსენებლის/ების მოწვევა

საკომიტეტო მოკვლევაში დადასტურებული პოზიციების განხილვა იყოფა შემდეგ ეტაპებად:

- **მოწვევა დადასტურებული პოზიციის წერილობითი ფორმით სამუშაო ჯგუფში წარდგენაზე**
- სამუშაო ჯგუფი სხვადასხვა საშუალებებით (სოციალური მედია, პარლამენტის ვებ-გვერდი, პრესა და ა.შ.) აქვეყნებს პრესაში განცხადებას საკომიტეტო მოკვლევის თემატიკის შესახებ და ასევე უთითებს ტექნიკურ პირობებს (TOR), რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს წერილობითი ფორმით წარმოდგენილი დადასტურებული პოზიცია.
- გამოქვეყნებული განცხადებით ხდება პოტენციური მომხსენებლების მოწვევა, შემდგომში ტექნიკური პირობების (TOR) შესაბამისად და მითითებულ ვადებში დადასტურებული პოზიციების წარმოსადგენად.
- სამუშაო ჯგუფი, პროცესის პარალელურად თავად ახდენს სავარაუდო მომხსენებლების იდენტიფიცირებას და აცნობებს დადასტურებული პოზიციის წერილობითი ფორმით წარმოდგენის თაობაზე.
- პოტენციური მომხსენებელს შეუძლია დადასტურებული პოზიცია გააგზავნოს წერილობითი ფორმით პარლამენტის საიტის მეშვეობით.

მომხსენებლის გზამკვლევი

- კომიტეტის აპარატი განახორციელებს წერილობითი ფორმით წარმოდგენილი დადასტურებული პოზიციების შესწავლას.
 - კომიტეტის აპარატი გაუწევს შესაბამის დახმარებას პოტენციურ მომხსენებელს(ებს) დადასტურებული პოზიციის წარდგენაში.
 - წერილობითი ფორმით სამუშაო ჯგუფისათვის წარდგენილი დადასტურებული პოზიცია ქვეყნდება პარლამენტის ვებ-გვერდზე.
 - პოტენციურ მომხსენებელს, შესაბამისი დასაბუთებით შეუძლია მოითხოვოს მის მიერ წარდგენილი დადასტურებული პოზიციის კონფიდენციალურობის დაცვა.

 - **ზეპირსიტყვიერი ფორმით დადასტურებული პოზიციის მოსმენა**
 - სამუშაო ჯგუფი საჯაროდ აცხადებს (პრესის ან სხვა წყაროების საშუალებით), თუ ვისგან და როდის სურს ზეპირსიტყვიერი ფორმით დადასტურებული პოზიციის მოსმენა.
 - სამუშაო ჯგუფის მიერ ზეპირსიტყვიერი მოსმენა ტარდება საჯაროდ, კითხვა-პასუხის რეჟიმში.
 - ზეპირსიტყვიერი ფორმით დადასტურებული პოზიციის მოსმენის ოქმი ქვეყნდება პარლამენტის ვებ-გვერდზე და ასევე ხელმისაწვდომია ვიდეო ტრანსლაციის ჩანაწერი.
- 3. წერილობითი ფორმით წარმოდგენილი დადასტურებული პოზიციის ფორმალური მოთხოვნები**
- ფაილი არ უნდა აღემატებოდეს 25 MB-ს.
 - ფაილი უნდა იყოს მხოლოდ Word-ის ფორმატში.
 - ყველა ინფორმაცია უნდა იქნეს მოქცეული ერთ ფაილში მათ შორის დანართები, დამატებითი ინფორმაცია, ფოტოები, მასალები და ა.შ.
 - წერილობით დადასტურებულ პოზიციაში კარგად უნდა ირკვეოდეს მომხსენებლის ვინაობა (წელი, თვე, რიცხვი სასვენი ნიშნების გარეშე, დადასტურებული პოზიცია და პოზიციის გამომგზავნის ვინაობა. მაგ:180201_ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობა_შპს „X“).
 - წარმოდგენილი დადასტურებული პოზიცია უნდა იყოს ლაკონურად ჩამოყალიბებული და ტექსტის სიდიდე არ უნდა აღემატებოდეს 3000 სიტყვას.
 - დადასტურებული პოზიციის დასაწყისში პუნქტუბად უნდა იყოს გადმოცემული მოკლე რეზიუმე წინამდებარე ტექსტის შესახებ.
 - აუცილებელია ტექსტის დასაწყისში მოკლედ იყოს წარმოდგენილი პოტენციური მომხსენებლის შესახებ სრული სახელწოდება:
 - იურიდიული პირის შემთხვევაში: ორგანიზაციული ფორმა, ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი, საქმიანობის სფერო

მომხსენებლის გზამკვლევი

- ფიზიკური პირის შემთხვევაში სახელი, გვარი, პირადი ნომერი და საქმიანობის სფერო.
- ტექსტი უნდა იყოს დანომრილი პარაგრაფებად.
- ტექსტში უნდა იყოს მოცემული დეტალური ფაქტობრივი მონაცემები რომელიც მისცემს სამუშაო ჯგუფს შესაძლებლობას გააკეთოს სწორი ანალიზი და დასკვნა.
- ტექსტში ასევე შესაძლოა იყოს პოტენციური მომხსენებლის ცალკეული რეკომენდაციები და შეხედულებები; ასევე ის სუბიექტები, რომლებიც მისი აზრით საკომიტეტო მოკვლევის პროცესში შეიძლება ჩაერთოს.

4. წერილობითი ფორმით დადასტურებული პოზიციის წარდგენის შემდგომი ეტაპები

- სამუშაო ჯგუფი აქვეყნებს მიღებულ დადასტურებულ პოზიციებს საჯაროდ.
- თუ დადასტურებული პოზიციის წარმდგენი სუბიექტი მოითხოვს კონფიდენციალურობის დაცვას შესაბამისი დასაბუთებით, სამუშაო ჯგუფი იმსჯელებს დოკუმენტის გასაიდუმლოებაზე.
- დადასტურებული პოზიციის წარმდგენმა მხარემ უნდა გაითვალისწინოს, რომ სამუშაო ჯგუფი არ არის ვალდებული მიიღოს და გაითვალისწინოს მათ მიერ წარმოდგენილი დადასტურებული პოზიცია.

5. დადასტურებული პოზიციის წარდგენა ზეპირსიტყვიერად

5.1 სამუშაო ჯგუფი ატყობინებს მედია საშუალებებს ზეპირი მოსმენის თაობაზე:

- მოსმენის თემას
- მოსმენის თარიღსა და დროს
- მომხსენებლების ვინაობებს, რომელთაგანაც სამუშაო ჯგუფი მოისმენს დადასტურებულ პოზიციასთან დაკავშირებულ ახსნა-განმარტებებს.

5.2 კომიტეტის აპარატი ზეპირ მოსმენამდე მომხსენებელს აწვდის ინფორმაციას მოსმენის ჩატარების ადგილის და დროის თაობაზე.

6. სამუშაო ჯგუფის მიერ ზეპირსიტყვიერი ფორმით დადასტურებული პოზიციის მოსმენა

- ზეპირი მოსმენისას მომხსენებელი წარუდგენს სამუშაო ჯგუფს თავის დადასტურებულ პოზიციას საჯაროდ.
- სამუშაო ჯგუფი საზოგადოების წინაშე ისმენს მომხსენებლის ახსნა-განმარტებას დადასტურებულ პოზიციასთან დაკავშირებით, პროცესი ექვემდებარება დაოქმებას, მედიისა და პრესის წარმომადგენლები ესწრებიან და აშუქებენ მოსმენას.
- გარემოებების გათვალისწინებით სამუშაო ჯგუფს შეუძლია დადასტურებული პოზიციის მოსმენა დახურულ რეჟიმში წარმართოს ან ნაწილობრივ დახუროს

მოსმენა. მოსმენის დახურვის მიზეზების შესახებ, მოსმენამდე უნდა შეატყობინოს მომხსენებელმა კომიტეტის აპარატს.

- სამუშაო ჯგუფში ზეპირი მოსმენი ძირითადი ნაწილია, სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ, მომხსენებლისათვის კითხვების დასმის პროცედურა. კითხვების დასმამდე, მომხსენებელს ეძლევა საშუალება დააფიქსიროს თავისი პოზიციები, განსახილველ საკითხთან მიმართებით.
- მომხსენებელს შეუძლია მიმართოს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარეს თუ თვლის, რომ სამუშაო ჯგუფის წევრების მხრიდან დასმული კითხვა შეუსაბამოა განსახილველ საკითხთან მიმართებით ან თავს არ თვლის კომპეტენტურად გასცეს არგუმენტირებული პასუხი. მას შეუძლია ასევე ითხოვოს დამატებითი დრო მოსაფიქრებლად ან რჩევის მისაღებად.
- იმ შემთხვევაში თუ, სამუშაო ჯგუფი ჩათვლის დასმულ შეკითხვას არსებითი მნიშვნელობის მქონედ, მომხსენებელი ვალდებულია გასცეს პასუხი.
- თუ, მომხსენებელს გამოკითხვის ეტაპზე არ გააჩნია კითხვაზე პასუხი, მას შეუძლია მოგვიანებით წერილობითი ფორმით წარუდგინოს სამუშაო ჯგუფს თავისი ახსნა-განმარტება. აღნიშნულის თაობაზე მომხსენებელმა უნდა განაცხადოს მოსმენაზე.
- სამუშაო ჯგუფს აქვს უფლება მომხსენებელს, დადასტურებულ პოზიციასთან დაკავშირებით მოთხოვოს დამატებითი ინფორმაცია.

7. სამუშაო ჯგუფის მიერ, ზეპირსიტყვიერი ფორმით, დადასტურებული პოზიციის მოსმენის ოქმები

ზეპირსიტყვიერი ფორმით, დადასტურებული პოზიციის წარდგენის მოსმენის ოქმები ქვეყნდება საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდზე, განხილვებიდან გონივრული ვადის შემდგომ.

8. სამუშაო ჯგუფის შემაჯამებელი ანგარიში კომიტეტს

- სამუშაო ჯგუფი შეაჯამებს საკომიტეტო მოკვლევას და წარუდგენს ანგარიშს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტს.
- კომიტეტი სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებულ შემაჯამებელ ანგარიშს განიხილავს საკომიტეტო მოსმენის ფარგლებში.